საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/7 „ 11 „ თებერვალი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე - 1950 ლარი;
ბ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე - 1900 ლარი;
გ) სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე - 1800 ლარი;
დ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე - 1700 ლარი;
ე) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;
ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე - 2150 ლარი;
ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე - 2050 ლარი;
თ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;
ი) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2050 ლარი;
კ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე - 2250 ლარი;
ლ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 2050 ლარი;
მ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე - 1550 ლარი;
ნ) სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე - 1350 ლარი.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი